თემა I: <u>ოპერაციული სისტემა MS Windows-ის შესავალი:</u> მომხმარებლის ინტერფეისი, პიქტოგრამა, იარლიყი, კონტექსტური მენიუ. Desktop-ის ობიექტებთან მუშაობა: მონიშვნა, გადატანა, წაშლა. ფაილების სისტემა. Windows-თან მუშაობის დამთავრება.

კომპიუტერზე მუშაობისას ჩვენ გვეხმარება სპეციალური პროგრამა - ოპერაციული სისტემა. ოპერაციული სისტემა ის პროგრამაა, რომელიც ამუშავებს კომპიუტერს: მართავს კომპიუტერის მოწყობილობებს, უზრუნველყოფს მოწყობილობების ურთიერთქმედებას, სხვადასხვა პროგრამების ამუშავებას (გაშვებას) და, რაც მთავარია, მომხმარებლის ურთიერთობას კომპიუტერთან.

MS Windows ოპერაციული სისტემის პირველი ვერსია - Windows 95 - გამოვიდა 1995 წელს. მას შემდეგ Windows ოპერაციულმა სისტემამ განიცადა დიდი ცვლილებები, გამოვიდა მისი გაუმჯობესებული ვერსიები Windows 98, Windows ME, Windows 2000, Windows XP. ახლახანს ფირმა Microsoft-მა დაიწყო Windows-ის ახალი ვერსიის Windows Vista-ს გავრცელება.

იმისათვის, რომ შევასრულოთ კომპიუტერზე ნებისმიერი პროგრამა, ან შევძლოთ კომპიუტერისთვის "ახსნა", თუ რა დავალების შესრულებას ვთხოვთ მას, კომპიუტერის მეხსიერებაში წინასწარ უნდა იყოს ჩატვირთული ოპერაციული სისტემა. კომპიუტერის ჩართვისთანავე მონიტორის ეკრანზე გაირბენს სტრიქონები, რომლებიც შეიცავენ კომპიუტერის შესახებ ინფორმაციას. ბოლოს, გამოჩნდება წარწერა Windows XP (ან შესაბამისი Windows-ვერსიის წარწერა). ეს კი გვიჩვენებს, რომ ოპერაციული სისტემის ჩატვირთვა, ანუ მისი გადატანა ოპერატიულ მეხსიერებაში, და კომპიუტერის მოწყობილობების შემოწმება (დიაგნოსტიკა) დასრულდა.

ოპერაციული სისტემის ჩატვირთვის შემდეგ ეკრანზე გამოდის ე.წ. *სამუშაო მაგიდის* (Desktop) გამოსახულება.



ამოცაწების პაწელი

სამუშაო მაგიდაზე ჩვენ ვხედავთ პატარ-პატარა ნახატებს, რომელთაც ქვეშ გაკეთებული აქვთს წარწერები. ამ ნახატებს პიქტოგრამები ეწოდება. თითოეული პიქტოგრამა შეესაბამება ან ხშირად გამოყენებად პროგრამას, ან საქაღალდეს, ან ფაილს (საქაღალდეს და ფაილის ცნებას გავეცნობით მოგვიანებით). ზოგი პიქტოგრამა თავსდება სამუშაო მაგიდაზე ავტომატურად, Windows-ის დაყენებისას. მაგალითად: My Computer, Recycle Bin, My Documents. My Computer - ყველაზე მთავარი პიქტოგრამაა. მისი დახმარებით შეიძლება გავეცნოთ კომპიუტერის რესურსებს. უნდა შევნიშნოთ, რომ Windows XP-ში პიქტოგრამა My Computer-ის ავტომატური განთავსება სამუშაო მაგიდაზე გათვალისწინებული არ არის. მაგრამ, რადგანაც ეს პიქტოგრამა ხშირად გვჭირდება მუშაობისას, მიზანშეწენილია მისი გამოტანა Desktop-ზე. My Documents განკუთვნილია სხვადასხვა დოკუმენტების შესანახად. Recycle Bin - სანაგვე ყუთია, რომელშიც შეგვიძლია "გადავყაროთ" ჩვენთვის არასაჭირო "ქაღალდები". თუ რომელიმე "ქაღალდი" შემთხვევით წაგვეშალა, შეიძლება მისი დაბრუნება Recycle Bin-იდან. ოპერაციული სისტემა აღადგენს მას იმ ადგილას, საიდანაც იგი იყო წაშლილი, მაშინაც კი, როდესაც წაშლის შემდეგ გავიდა გარკვეული დრო.

დანარჩენი პიქტოგრამები ჩნდება **Desktop**-ზე ან ახალი პროგრამების კომპიუტერში ჩაწერის დროს, ან მომხმარებელი თვითონ განათავსებს სამუშაო მაგიდაზე მისთვის საჭირო პიქტოგრამებს.

სამუშაო მაგიდის ქვედა ნაწილში განთავსებულია ამოცანების პანელი (**Taskbar**). თუმცა შესაძლებელია ამოცანების პანელის გადატანა სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას.



ამოცანების პანელზე მოთავსებულია მთავარი მენიუს ღილაკი (Start), მიმდინარე პროგრამების ღილაკები, საათი, დინამიკის მაჩვენებელი, ინტერნეტთან დაკავშირების მაჩვენებელი და სხვა.

🏄 start	🚯 DOWNLOAD.GE - Opera	DivX Player 6.4	Windows_1.doc - Mic		<b>50 9</b> , 1:36
---------	-----------------------	-----------------	---------------------	--	--------------------

თეთრი პატარა ისარი **Desktop**-ის გამოსახულებაზე არის მაუსის მაჩვენებელი. მაუსის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გადავცეთ კომპიუტერს რაიმე დავალება. მაგალითად, თუ მივიყვანთ მაუსის მაჩვენებელს რომელიმე პიქტოგრამასთან (ვთქვათ, **My Computer**-თან) და ერთხელ დავაწკაპუნებთ მაუსის მარცხენა ღილაკზე (ანუ დავაჭერთ და სწრაფად ავუშვებთ მაუსის მარცხენა ღილაკს), შესაბამისი პიქტოგრამა გამუქდება -

მოინიშნება. ამით ჩვენ ვაცნობებთ ოპერაციულ სისტემას, რომ ჩვენი შემდგომი მოქმედებები უნდა ჩატარდეს მონიშნულ ობიექტზე. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ვატყობინებთ კომპიუტერს, რომ სამუშაოდ ავირჩიეთ მონიშნული ობიექტი. იმისათვის, რომ გავაუქმოთ მონიშვნა, საკმარისია მივიყვანოთ მაუსის მაჩვენებელი (ამბობენ აგრეთვე - მაუსის კურსორი) სამუშაო მაგიდის ნებისმიერ თავისუფალ ადგილას და დავაწკაპუნოთ მაუსის მარცხენა ღილაკზე. შეგვიძლია რამდენიმე პიქტოგრამის ერთდროულად მონიშვნა. თუ მოსანიშნი ობიექტები განლაგებულია მართკუთხა არეში, უნდა მართკუთხედის წებისმიერ დავაწკაპუნოთ ამ წარმოსახვითი კუთხეში მდებარე პიქტოგრამაზე, დავაჭიროთ კლავიატურის კლავიშს Shift და ისე დავაწკაპუნოთ მართკუთხედის მოპირდაპირე კუთხეში მდებარე პიქტოგრამაზე. პიქტოგრამეზის ამორჩევით მოსანიშნად დავაჭიროთ თითი Ctrl კლავიშს და ისე დავაწკაპუნოთ მაუსი ყოველ საჭირო ობიექტზე.

მონიშნული პიქტოგრამა ან პიქტოგრამათა ჯგუფი შეიძლება გადავიტანოთ სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას. ამისათვის მაუსის კურსორი უნდა მივიტანოთ მონიშნულ პიქტოგრამასთან (ან მონიშნული ჯგუფის რომელიმე პიქტოგრამასთან), დავაჭიროთ მაუსის მარცხენა ღილაკს და, თითის აუღებლად, გადავაადგილოთ მაუსის კურსორი საჭირო ადგილას. შემდეგ კი ავუშვათ თითი მაუსის ღილაკს და მოვხსნათ მონიშვნა.

ზოგჯერ პიქტოგრამის ან პიქტოგრამათა ჯგუფის გადატანა ვერ ხერხდება: გადატანილი ობიექტი (ობიექტები) "ჯიუტად" არ რჩება ახალ ადგილზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც Desktop-ზე გააქტიურებულია პიქტოგრამების ავტომატური განლაგების რეჟიმი (Auto Arrange). როგორ შევცვალოთ ეს რეჟიმი? მივიყვანოთ მაუსის კურსორი სამუშაო მაგიდის თავისუფალ ადგილას და დავაჭიროთ მაუსის მარჯვენა ღილაკს. Desktop-ზე გაიხსნება ე.წ. კონტექსტური მენიუ:

Arrange Icons By	
Refresh	
Paste	
Paste Shortcut	
Save As Scheme	
Graphics Options	
Display Modes	
New	•
Properties	

ობიექტის კონტექსტური მენიუ წარმოადგენს იმ ბრმანებების ან ოპერაციების ჩამონათვალს, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ ამ ობიექტისათვის. ნახატზე ჩვენ ვხედავთ სამუშაო მაგიდის კონტექსტურ მენიუს. მივაქციოთ ყურადღება მენიუს სტრიქონს (ბრმანებას) Arrange Icon By, რაც ნიშნავს - მოვაწესრიგოთ პიქტოგრამები. მენიუს ამ პუნქტის ბოლოს ვხედავთ • ნიშნაკს. იგი აჩვენებს, რომ მენიუს პუნქტს აქვს ქვემენიუში გადასვლა ხდება მაუსის მოძრაობით მენიუს პუნქტის გასწვრივ. გადავიდეთ ქვემენიუში. მისი ბრმანება Auto Arrange მონიშნულია "ჩიტით" - . "ჩიტი" (Check mark) აღნიშნავს, რომ შესაბამისი რეჟიმი გააქტიურებულია.

Arrange Icons By 🔷 🕨	Name	
Refresh	Size	
Paste Paste Shortcut	Type Modified	
Save As Scheme Graphics Options Display Modes	Show in Groups  Auto Arrange  Align to Grid	
New 🕨	✓ Show Desktop Icons Lock Web Items on Desktop	
Properties	Run Desktop Cleanup Wizard	

მივიყვანოთ მაუსის კურსორი ამ პუნქტთან და დავაწკაპუნოთ მასზე მაისის მარცხენა ღილაკი. კონტექსტური მენიუ გაქრება. კიდევ ერთხელ გამოვიტანოთ სამუშაო მაგიდის კონტექსტური მენიუ:

Arrange Icons By	Name	
Refresh	∛Size	
Paste Paste Shortcut	Type Modified	
Save As Scheme Graphics Options Display Modes	Show in Groups Auto Arrange Align to Grid	
New	<ul> <li>Show Desktop Icons</li> <li>Lock Web Items on Desktop</li> </ul>	
Properties	Run Desktop Cleanup Wizard	

როგორც ვხედავთ, Auto Arrange პუნქტთან < აღარ არის. ახლა პიქტოგრამის (ან პიქტოგრამების ჯგუფის) გადატანა სამუშაო მაგიდის ნებისმიერ ადგილას პრობლემას აღარ შეგვიქმნის.

იმისათვის, რომ პიქტოგრამა წავშალოთ Desktop-დან, იგი უნდა მოვნიშნოთ და დავაჭიროთ კლავიატურაზე ღილაკს Delete. ან მივიყვანოთ მაუსის კურსორი პიქტოგრამასთან და დავაჭიროთ მაუსის მარჯვენა კლავიშს. გამოდის ამ ობიექტის კონტექსტური მენიუ (Shortcut menu). მასში გაერთიანებულია ის ბრძანებები, რომლებიც შეესაბამება მოცემულ ობიექტს. მაგალითად, ამოჭრა (Cut), კოპირება (Copy), ჩასმა (Paste), წაშლა (Delete), თვისებები (Properties) და სხვა.



კონტექსტური მენიუს გამოსატანად არსებობს კიდევ ერთი საშუალება: დავაჭიროთ

კლავიატურაზე ღილაკს 🗐, რომელიც მოთავსებულია Ctrl კლავიშის მარცხნივ. კიდევ შეიძლება ავიღოთ კლავიატურაზე კლავიშების კომბინაცია Shift+F10 (ანუ დავაჭიროთ ღილაკს Shift და ისე დავაჭიროთ ღილაკს F10). როგორც ვხედავთ, Windows ოპერაციული სისტემა გვაძლევს საშუალებას ერთი და იგივე მოქმედება შევასრულოთ ბევრნაირად. წაშლის ბრძანების შესასრულებლად გადავიდეთ კონტექსტურ მენიუში ბრძანებასთან Delete და დავაწკაპუნოთ მასზე მაუსის მარცხენა ღილაკი. პასუხად Desktop-ზე გამოდის შეტყობინების ფანჯარა

Confirm	File Delete 🛛 🛛 🔀
1	Are you sure you want to send 'Windows_1.doc' to the Recycle Bin?
	Yes No

ამ ფანჯრის საშუალებით Windows-ი ურთიერთობს მომხმარებელთან. კერმოდ, ჩვენს შემთხვევაში ოპერაციული სისტემა "გვეკითხება", ნამდვილად გვინდა თუ არა მოცემული პიქტოგრამის გაგზავნა სანაგვე ყუთში და ელოდება ჩვენგან ამ მოქმედების დადასტურებასა ან უარყოფას (Yes ან No ღილაკზე მაუსის დაჭერით). Yes ღილაკზე დაჭერის შემთხვევაში პიქტოგრამა გაქრება სამუშაო მაგიდიდან და გადაიტანება სანაგვე ყუთში. No-ს შემთხვევაში კი პიქტოგრამა დარჩება სამუშაო მაგიდაზე.

თუ **Delete** ბრძანების შესრულების დროს დავაჭერთ კლავიატურის კლავიშს **Shift**, გამოდის შეტყობინების ფანჯარა

Confirm	File Delete	$\mathbf{X}$		
6	Are you sure you want to delete 'Windows_1.doc'?			
	Yes No			

რომელიც გვაფრთხილებს, რომ მონიშნული ობიექტი საბოლოოდ წაიშლება კომპიუტერიდან და მისი აღდგენა შეუძლებელი იქნება.

ობიექტის კონტექსტური მენიუს ის ბრძანებები, რომლებიც მოცემულია მსხვილი შრიფტით, შეიძლება შევასრულოთ აგრეთვე მონიშნულ ობიექტზე ორმაგი მარცხენა დაწკაპუნებით (მაგალითად, **Open**). ორმაგი მარცხენა დაწკაპუნების ქვეშ კი იგულისხმება, რომ ორჯერ ზედიზედ საკმაოდ სწრაფად უნდა დავაჭიროთ და ავუშვათ მაუსის მარცხენა ღილაკს.

ახლა კი ვუპასუხოთ კითხვას: რა დგას პიქტოგრამის უკან? ამისათვის ჯერ გავეცნოთ, თუ როგორ არის განთავსებული კომპიუტერში ინფორმაცია.

ნებისმიერი ინფორმაცია (დოკუმენტი, გრაფიკული გამოსახულება, მუსიკა, ფილმი და ა.შ.) ინახება კომპიუტერში ფაილების სახით.

ფაილი (File) წარმოადგენს მყარ მეხსიერებაში (დისკზე, დისკეტაზე, CD-ზე ან ფლეშზე) ჩაწერილ სიმბოლოების გარკვეულ მიმდევრობას, ე.ი. რაიმე ტექსტს, რომელსაც დასახელება გააჩნია. ფაილის დასახელება შედგება ორი ნაწილისგან: სახელისა და გაფართოებისაგან. **Windows**-ში ფაილის სახელმა გაფართოებასთან ერთად შეიძლება მიაღწიოს 255 სიმბოლოს, ამასთან შემდეგი სიმბოლოების - ? \* : \ / | < > " - გამოყენება აკრძალულია. გაფართოება განსაზღვრავს ფაილის ტიპს, ანუ გვიჩვენებს, როგორია ფაილი, რა ინფორმაციას შეიცავს. გაფართოების მითითება საჭიროა იმისათვის, რომ კომპიუტერმა გაარჩიოს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია და მის დასამუშავებლად შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები. ფაილის დასახელებაში სახელი და გაფართოება გამოიყოფა წერტილით, ამასთან სიმბოლო '.'-ის გამოყენება სახელში აკრძალული არ არის. ამიტომ გაფართოებად ითვლება ბოლო წერტილის შემდეგ მდგომი სიმბოლოები. მოვიყვანოთ ფაილის დასახელების მაგალითები:

## win.com config.sys Moxsenebiti\_barati.doc Naxati.bmp Gverdi.html

ფაილები ერთიანდება საქაღალდეებში. საქაღალდეები, თავის მხრივ, შეიძლება შეიცავდეს სხვა საქაღალდეებსა და ფაილებს. საქაღალდეს (Folder) უწოდებენ აგრეთვე კატალოგს ან დირექტორიას. საქაღალდეებსაც გააჩნია სახელი. საქაღალდეების აღმნიშვნელი პიქტოგრამები ყველა ერთნაირია და გამოიყურება ასე:

დისკი, დისკეტა, ლაზერული დისკი - დიდი საქაღალდეებია, რომლებიც შეიცავს მათში ჩაწერილ ყველა ფაილსა და საქაღალდეს. ამასთან დისკეტა აღინიშნება A: -თი, მყარი დისკი (ვინჩესტერი) – C:-თი. თუ ვინჩესტერი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად (ამბობენ, ლოგიკურ დისკებად), მაგალითად, 3 ნაწილად, მაშინ ამ ნაწილების სახელები იქნება C: D: E: ამ შემთხვევაში ლაზერული დისკის სახელი აღინიშნება ანბანის მომდევნო ასოთი, ანუ F: -ით.

ფაილის განთავსების ადგილი, ანუ მისამართი განისაზღვრება შესაბამისი დისკის, საქაღალდის, ფაილის სახელისა და ტიპის მითითებით. მაგალითად, C:\My Documents\Leqciebis\_cursi\leqcia.doc. აქ My Documents და Leqciebis\_cursi საქაღალდეების სახელები, ხოლო leqcia.doc - ტექსტური ფაილის სახელია. სამუშაო მაგიდაზე მოთავსებული My Computer, Network Neighborhood, Recycle Bin საქაღალდეებია. საქაღალდეა Desktop-იც, მაგრამ განსაკუთრებული საქაღალდე (ამის შესახებ ვისაუბრებთ მოგვიანებით).

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, პიქტოგრამა შეესაბამება ან ფაილს, ან საქაღალდეს, ან პროგრამას. ფაილის პიქტოგრამის ნახატი გვიჩვენებს, რომელიმე თუ რომელი პროგრამითაა დამუშავებული ეს ფაილი, მაგალითად: 🖭 ან 🔊 . არსებობს კიდევ ერთი პიქტოგრამა იარლიყი. იარლიყის ნახატის მარცხენა ქვედა სახის კუთხეში მოთავსებულია ისარი: 📰, 🜮 ან 🜮. იარლიყი - .lnk გაფართოების ფაილია, რომელშიც წერია მისი შესაბამისი ობიექტის სახელი და მისამართი და რომლის დანიშნულებაა მიმართოს Windows-ის ამა თუ იმ ობიექტს. იარლიყის მოთავსება შეიძლება Desktop-ზეც და წებისმიერ სხვა საქაღალდეშიც. ანუ იგი გვეხმარება სწრაფად მივწვდეთ ობიექტს ნებისმიერი ადგილიდან. თუ წავშლით იარლიყს, მისი შესაბამისი ობიექტი არ წაიშლება, და პირიქით, ობიექტის წაშლის შემთხვევაში მისი იარლიყი არ იშლება ავტომატურად.

თუ ვაპირებთ Windows-თან მუშაობის დასრულებას, უნდა დავხუროთ ყველა გახსნილი ფაილი, საქაღალდე თუ პროგრამა, და შემდეგ შევასრულოთ კიდევ რამდენიმე მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს Windows-ის ამოტვირთვას ოპერატიული მეხსიერებიდან. ახლა მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი Windows-თან მუშაობის დამთავრების გზა: მივიყვანოთ მაუსის კურსორი ამოცანათა პანელის ღილაკთან **Start** და დავაწკაპუნოთ მასზე. გაიშლება **Windows-**ის მთავარი მენიუ.



ავირჩიოთ მენიუში ბრძანება **Turn Off Computer …** და დავაწკაპუნოთ მასზე. პასუხად სამუშაო მაგიდაზე გამოდის ფანჯარა, რომელშიც ოთხი ღილაკია მოთავსებული.

Turn off computer		<b>**</b>	
<b>U</b> <u>S</u> tand By	Turn Off	Restart	
		Cano	el

დავაჭიროთ ღილაკს Turn Off და დაველოდოთ, სანამ მონიტორის ეკრანზე ჩანს წარწერა Windows is shutting down ..., რაც ნიშნავს, რომ ხდება Windows-ის ამოტვირთვა. მხოლოდ შემდეგ შეიძლება კომპიუტერის გამორთვა.

არ შეიძლება კომპიუტერის დენის ქსელიდან პირდაპირ გამორთვა. ამ შემთხვევაში ოპერაციული სისტემა ზიანდება!

თუ Turn Off Computer ფანჯრის გამოჩენის შემდეგ თქვენ გადაიფიქრეთ კომპიუტერის გამორთვა, შეგიძლიათ უარი თქვათ ამ მოქმედებაზე. ამისათვის საკმარისია დააჭიროთ ფანჯრის ღილაკს Cancel ან კლავიატურის კლავიშს Esc (რომელსაც მარტივად მიაგნებთ: იგი კლავიატურის ზედა რიგში ყველაზე მარცხენა კლავიშია). Esc, როგორც წესი, გამოიყენება გარკვეული მოქმედების გასაუქმებლად ან პროგრამის რაიმე რეჟიმიდან გამოსასვლელად. მასზე დაჭერით თქვენ ატყობინებთ კომპიუტერს - "არ მინდა" ან "აღარ მინდა". იგივე შინაარსისაა Cancel ღილაკზე დაჭერა.

დანარჩენი ორი ღილაკი Restart და Stand By გამოიყენება შესაბამისად, თუ თქვენ გინდათ ოპერაციული სისტემის თავიდან ჩატვირთვა (კომპიუტერის გადატვირთვა) ან დასვენების რეჟიმში კომპიუტერის გადაყვანა.

## სავარჯიშოები:

B ჩართეთ კომპიუტერი და დაელოდეთ ოპერაციული სისტემის ჩატვირთვას. ჩატვირთვის პროცესში ეკრანზე შეიძლება გამოვიდეს რაიმე შეტყობინება, მაგალითად, შემოთავაზება ანტივირუსული ბაზის თქვენს (ანუ კომპიუტერში ჩაწერილი ანტივირუსული პროგრამისათვის ცნობილი ვირუსების ჩამონათვალის) განახლების შესახებ. პირველ ხანებში, ჯობს უარყოთ ეს შემოთავაზება. ამისათვის უნდა დააჭიროთ Esc-ს. დაათვალიერეთ სამუშაო მაგიდაზე განთავსებული ობიექტები: გაარჩიეთ სტანდარტული პიქტოგრამები (My Computer, My Documents, Recycle Bin), ჩვეულებრივი პიქტოგრამები, იარლიყები. გამოიძახეთ ცალკეული ობიექტის კონტექსტური მენიუ ყველა თქვენთვის ცნობილი ხერხით, გაეცანით მის ბრმანებებს.

გადაიტანეთ ამოცანების პანელი სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას. ამისათვის მიიყვანეთ მაუსის მაჩვენებელი ამოცანათა პანელთან, დააწკაპუნეთ მაუსის მარჯვენა ღილაკზე და გამოსულ კონტექსტურ მენიუში შეამოწმეთ, არის თუ არა ჩართული რეჟიმი Lock the Taskbar. თუ ეს მენიუს პუნქტში მონიშნულია "ჩიტით", მოხსენით მონიშვნა. გადაიტენეთ ამოცანების პანელი.

ඔ შეცვალეთ ამოცანების პანელის ზომები. დაადგინეთ როგორი მაქსიმალური და როგორი მინიმალური ზომა შეიძლება მიიღოს ამოცანების პანელმა.

მონიშნეთ Desktop-ზე ერთი ობიექტი. გადაიტანეთ მონიშნული ობიექტი სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას. თუ შესაბამისი მოქმედება არ სრულდება, ისარგებლეთ სამუშაო მაგიდის კონტექსტური მენიუთი.

მონიშნეთ Desktop-ზე რამდენიმე ობიექტი, თუ ისინი გამთავსდებიან მართკუთხა არეში.

🖽 მონიშნეთ **Desktop**-ზე რამდენიმე ობიექტი, თუ ისინი გამთავსდებიან ერთ სტრიქონში, ერთ სვეტში.

🖽 მონიშნეთ **Desktop**-ზე რამდენიმე ობიექტი ამორჩევით.

🎟 გადაიტანეთ ერთი ობიექტი, ობიექტების ჯგუფი სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას.

დაალაგეთ სამუშაო მაგიდის ობიექტები სახელის, შექმნის დროის, ტიპისა და მეხსიერებაში დაკავებული ზომის მიხედვით. გამოიყენეთ სამუშაო მაგიდის კონტექსტური მენიუ.

Ֆ განიხილეთ სხვადასხვა პიქტოგრამების კონტექსტური მენიუები. შეასრულეთ კონტექსტური მენიუს ბრძანება Create Shortcut და შემდეგ წაშალეთ სამუშაო მაგიდაზე შექმნილი იარლიყები (გამოიყენეთ ბრძანება Delete)

მიიყვანეთ მაუსის კურსორი Recycle Bin-თან, გააქტიურეთ მისი კონტექსტური მენიუ და შეასრულეთ ბრძანება Empty Recycle Bin - გაათავისუფლეთ სანაგვე ყუთი.

## მიმდინარე ტესტირება:

1. რომელი პროგრამა მართავს კომპიუტერის მუშაობას?

- 2. რა ეწოდება პროცესს, რომელიც იწყება კომპიუტერის ჩართვის თანავე?
- 3. რას წარმოადგენს პროგრამა Windows?

- 4. რა ეწოდება Windows-ის მთელს ეკრანს?
- 5. რა ეწოდება სამუშაო მაგიდაზე მოთავსებულ ნახატებს?
- 6. რა დგას პიქტოგრამის უკან?
- 7. რამდენი პიქტოგრამა შეიძლება განვათავსოთ Desktop-ზე?
- 8. როგორ მოვნიშნოთ ერთი პიქტოგრამა?
- 9. როგორ მოუხსნათ მონიშვნა პიქტოგრამას?
- 10. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე პიქტოგრამა, თუ ისინი ხვდებიან მართკუთხა არეში?
- 11. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე პიქტოგრამა, თუ ისინი განლაგებულია ერთ სტრიქონში?
- 12. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე პიქტოგრამა, თუ ისინი განლაგებულია ერთ სვეტში?
- 13. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე პიქტოგრამა, თუ ისინი არ არიან განთავსებული ზედიზედ?
- 14. როგორ გადავიტანოთ პიქტოგრამა სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას?
- 15. როგორ გადავიტანოთ პიქტოგრამების ჯგუფი სამუშაო მაგიდის სხვა ადგილას?
- 16. როგორ წავშალოთ პიქტოგრამა სამუშაო მაგიდიდან?
- 17. სად და რამდენ ხანს ინახება წაშლილი ობიექტქბი?
- 18. როგორ წავშალოთ რომელიმე ობიექტი Recycle Bin-ში შენახვის გარეშე?
- 19. რისთვის გვჭირდება მაუსის მარცხენა ღილაკი?
- 20. რისთვის გვჭირდება მაუსის მარჯვენა ღილაკი?
- 21. რა არის მენიუ?
- 22. რას წარმოადგენს კონტექსტური მენიუ?
- 23. როგორ გამოვიძახოთ ობიექტის კონტექსტური მენიუ?
- 24. როგორ გამოვიძახოთ Desktop-ის კონტექსტური მენიუ?
- 25. როგორ შევასრულოთ მენიუს ბრძანება?
- 26. რას გვიჩვენებს მენიუს სტრიქონში სიმბოლო 🕨 ?
- 27. რას გვიჩვენებს მენიუს სტრიქონში სიმბოლო 🗸 ?
- 28. კლავიატურის რომელი ღილაკით შეიძლება ობიექტის წაშლა?
- 29. რას ნიშნავს ავიღოთ კლავიატურაზე კლავიშების კომბინაცია (მაგ., Alt+F4)?
- 30. თუ პიქტოგრამების გადატანა ახალ ადგილას ვერ ხერხდება, როგორ არიან ისინი მოწესრიგებული?
- 31. რას ეწოდება ფაილი? რისგან შედგება ფაილის დასახელება?
- 32. რას გვიჩვენებს ფაილის გაფართოება?
- 33. როგორ განისაზღვრება ფაილის ადგილმდებარეობა (მისამართი)?
- 34. რას ეწოდება საქაღალდე? კიდევ რა შეიძლება ვუწოდოთ საქაღალდეს?
  - ი. ხუციშვილი

- 35. რას ეწოდება იარლიყი? რა დანიშნულება აქვს მას?
- 36. სად არის ჩვეულებრივ განლაგებული ამოცანების პანელი?
- 37. რა თავსდება ამოცანების პანელზე?
- 38. როგორ შევცვალოთ ამოცანების პანელის ზომები?
- 39. რა უნდა შევამოწმოთ Windows-თან მუშაობის დასრულებამდე?
- 40. როგორ დავასრულოთ **Windows**-თან მუშაობა მაუსის საშუალებით ამოცანების პანელის **Start** მენიუდან?